

რედაქცია

მოღონის (აბას-აბათის) მედანზე, შორანოვის სხლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქ გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисъ. ВЪ редакцію газеты „Дრობა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

დროება

გამოღის კვირარობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართული, რუსული, სომხური და სხვა ენის ცუხულს ენებზე.

განცხადების ფასი

ღიდი ასობით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მოაგრულოთ, სტრიქონზე — 8 კაპ., ციკლოთი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტით — 4 კაპ.

თუ საქროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ ხტატიებსა. დაუბეძული ხტატი ავტორს არ დაუბრუნდება.

სამშაბათს, მინისს,

თფილისის საზაფხულო თეატრში ქართული სცენის მოყვარებთაგან იქნება წარმოდგენილი

„შარპარა ათაბაგი“

ხუთ მოქმედებიან ტრაგედია უცნობი ავტორისა.

საქართველო

ქალაქის ფორილი მაცხოვრებელთათვის

საშუალება, რომელიც წერილ ვაჭრებს იხსნის იმ რამდენიმე კაცის დამოკიდებულებისაგან, რომელზედაც ჩვენ წასულ ნომერში ვილაპარაკეთ, თვითონ ამათ, ამ წერილი ვაჭრების ხელშია.

მიეცით პირი ერთმანეთს, მომეტებული თანხმობა, უფრო გონივრული გაგება გქონდესთ თქვენი საზოგადო სარგებლობისა, — და დამერწმუნეთ, რომ რამდენიმე ფულიანი კაცი თქვენ ბრძანებლებათ აღარ იქნებიან.

ზაიგეთ, რომ თქვენ ძალა ხართ, ამიტომ რომ ბევრი ხართ.

მაგრამ ეს ძალა მხოლოდ მაშინ განხორციელდება, იმას მხოლოდ მაშინ ექნება რაიმე მნიშვნელობა თქვენი დამოკიდებულებისაგან დასახსნელად, როდესაც განცალკევებული შეერთდებით, როდესაც ერთ-ერთ შორის თანხმობითა და ხელის მომართვით წაიყვანთ საქმეს.

შედლებულებიც, სხვათა შორის, იმიტომ არიან შეძლებულნი და ძლიერნი, რომ იმათ ერთმანეთში პირი აქეთ, ერთმანეთს არ დალატობენ და ყოველთვის თანხმობით მოქმედებენ.

თქვენ უფრო არ გეჭირებათ ამგვარი ერთობა?!...

ერთი საქმე იწყება ახლა, რომელიც ამ ერთმანეთთან დაახლოებაში და ურთი-ერთის სარგებლობის დაცვაში ძალიან მოგებმარებათ.

ჩვენ ვამბობთ იმ „მამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობაზე“ ანუ ბანკზე, რომელიც ახლა ხანათ დამტკიცდა და მალე გაიხსნება თფილისში.

ამ ბანკის წესდება ისეთია, რომ ყველა წერილ ვაჭარს, ყველა მოხელე ხალხს შეუძლიან იმაში მონაწილეობის მიღება და წევრად გახდომა.

და თუ ეს ბანკი რიგიანათ წაიღია, თუ იმას საქმათ ეყოლება თანამგრძობელნი და წევრები, მაშასადამე შეძლება, დარწმუნებული უნდა ვიყენეთ, რომ დიდ სარგებლობას მოუტანს ქალაქის ღარიბ ხალხს.

ამას წერილი კრედიტი ეჭირება, თუმცა იმით უნდა და არა ათასობით.

ვაჭრების ღროს ეს ბანკი მოუმართავს ხელს ღარიბ მოხლეებსა და ვაჭრებს. ისინი იძულებულნი აღარ იქნებიან ფულიან კაცს მიმართონ და მანეთში ხშირად წელიწადში ნახევარი მანეთი სარგებელი აძლიონ; განთავისუფლდებიან სხვა მხრითაც იმათის დამოკიდებულებისაგან: იძულებულნი აღარ იქნებიან, იმათ ნებაზე იარონ ყოველთვის და განსაკუთრებით ისეთს შემთხვევებში, როდესაც ქალაქის საზოგადო ინტერესებზეა სჯა; იძულებულნი აღარ იქნებიან, ესთქვათ, ქალაქის ამორჩევების ღროს, იმათი ბრძანება ასრულონ და ისეთი კაცები აირჩიონ, რომელნიც ღარიბებისა და ქალაქის სიკეთისათვის თითქმის სრულებით არ ზრუნავენ.

შველა ეს აქ ჩამოთელილი სარგებლობა იმ ახალი ბანკისა, რომელიც ამჟამად უფ. ანდრია ძაპანაძის თაოსნობით იხსნება, რომ მომეტებული ეჩვენოს ვისმე, და მართა

ამის ნახევარი სარგებლობა მოიტანოს, ერთ მეათედ ნაწილს რომ ხანდისხან მაინც მოუშართოს ხელი, გაჭირების ღროს, მაინც დიდი საქმეა, მაინც თანაგრძობის ღროსა ეს ბანკი და ჩვენ წმინდა გულით ვისურვებთ იმის დღეგრძელობასა და კარგათ წაყვანას.

ს. მესხი

ღიუსი

ჯერ ჯერობით ორჯელ ყოფილა ძახეთში სეტყვა და როგორც გვეწერენ, ზემო მხარში და თელავილამ მოყოლებული სოფ. პონდოლამდ ბევრი ევნახები და ჭირახული გაუფუჭებია. მენახები ზოგან ისე გაუფუჭებია, რომ ვაზის რქა სამაჟელეთაც აღარ გამოდგებაო. შინება ხელმეორეთ გადახნეს და სიმინდი და ფეტვი დათესესო.

ძიღვე ჩივილი იმ მეიჯარადრეზე, რომელიც ქალაქის მოსამსახურებსა და მუშებს ქმანეთს ახდევინებს... ამას წინათ, როგორც ერთი მოქალაქე გვეწერს, ზოგიერთი მალაზიების რამდენიმე მაგირდები და ქარგლები დაუჭრიათ, მანეთს სთხოვდნ და ბილეთს აჩეხებდნენ ხელშიო. ჩვენ ძალიან გვიკვირს, რომ ვახეთებში ამდენი უკმაყოფილება და ჩივილი ისმის და სასამართლოებში ან სადაც რიგია, იქ არაფის არ უჩივლია ჯერ. მაშინ მტყუანი და მართალი გამოჩნდებოდა... მაგრამ საქმეც ეს არის, რომ ესენი ისეთ ხამ ხალხს იჭერენ, რომელნიც ჩივილს ვერ მოახერხებენ...

ახლად ამოჩენილს დამბლუდის ოქროს მადანს, რომელიც უფ. ჰინრიხსა და ამხანაგებს ეკუთვნის, როგორც ამბობენ, უფ. მასლოვი ჰყიდულობს. ეს უფ. მასლოვი ძალიან

რამ გამოგვიჩნდა: სადაც კი რამ მადანი ან დიდი რამ სასარგებლო საქმე გამოჩნდება, ყველას ეპოტინება, ყველას ყიდვა და აღება უნდა. შინდა, მაგრამ გასაკვირველი ეს არის, რომ, რამდენათაც ჩვენ ვიცით, ჯერ ვერაფერი ვერ იყიდა, ვერც ერთი საქმე ვერ ჩაიგდო ხელში. მიზეზი...

მაისის 25-ს მუთაისის თეატრის მოყვარებმა ქართული წარმოდგენა ჰქონიათ: უთამაშნიათ ოსტროვსკის კომედია „შემოსავლიანი ადგილი“. ჩვენ მოგვივიდა ამ წარმოდგენის შემოსავალ-გასავლის ანგარიში, რომლილამაც ეცნობულობთ, რომ შემოსავალი ყოფილა 206 მანეთი და 25 კაპ., ხარჯი — 47 მან., დარჩენილა, კეთილი მიზნის სასარგებლოთ, 159 მან. და 25 კაპ. ამისთანა კარგი შემოსავალი მუთაისის წარმოდგენას იშვიათად უნახავსო, გვეწერენ. მასული კვირის პარასკევს კიდევ ერთი წარმოდგენა უნდა ყოფილიყო მუთაისში.

მაზ. „ძაქვაში“ სიხარულით გეაცნობებს, რომ ვილაც ანტრეპრენიორი პეტერბურღში რუსულ ტრუპას აგროვებს და თფილისის საზაფხულო თეატრისთვის მოჰყავსო...

მაისის 30-ს, პარასკევ საღამოს 9 საათზე უფ. ა. ზუბალოვის სახლს, ხიდის ყურში, ქვემო ეტაჟის ერთს მალაზიაში გაუჩნდა ცეცხლი და ერთი საათის განმავლობაში დიწვა ეს მალაზია და მეორეც ბრიენაის მალაზია აფთიაკის კუთვნილებისა. ცეცხლის საქრობი კამანდა ძალიან მარჯვეთ იყო.

რამდენჯერ დავსწრებიართ ამ გვარ შემთხვევაში და ყოველთვის შეგვიჩინებავს, რომ მცველები სისასტიკით ექცევიან ხალხს მტყუანს და მართალს. მართალია, წესის დაცვა საქროა, მაგრამ ჩვენ ვიცით, ჩვენი უბრალო ხალხის ზნეობითი მხარე და დარწმუნებული ვართ, რომ ამ გვარ შემთ-

ფელტონი

კიდევ სოლომონ დოდაევი

სოლომონ დოდაევი დაიბადა 1805 წელსა სოფელ მალაროს, 4-ს ვერსის სიშორით ქ. სიღნაღიდან. მშობლები ამისი იყვნენ: ივანე მღვდელი, რომელიც მოძღვრობდა ს. მალაროს და დედა — ბარბარე. ამათა ჰყვანდა შეიდი შეილი, ოთხი ვაჟი და სამი ქალი.

სოლომონ იყო უფროსი შეილი. პირველად სოლომონი სწავლობდა წმინდა ნინოს სასწავლებელში (ეს სობორი ორი ვერსის სიშორითაა

სიღნაღიდან). აქ ბერებსა ჰქონდათ გამართული სასულიერო სასწავლებელი, საიდგანაც გამოდიოდნენ დიაკნად. ამ სკოლაში კურსის შესრულების შემდეგ, სოლომონი მამამ თფილისის საშუალ სასწავლებელში მისცა, შემდეგ გაგზავნა პეტერბურღის უნივერსიტეტში.

სოლომონ დოდაევი პირველი კაცი იყო, რომელიც მიზიყიდვან წავიდა რუსეთს უმაღლესის სწავლის მისაღებად. მიზიყელებს არ მოსწონებიათ იმის რუსეთს წასვლა; მალაროელები აჯანყებულან, აშფოთებულან; პატრე-ცემული, გავლენის მექონე „მამა ივანე“ გავარდნია მრევლს თვალიდგან; მოძღვარს შესწამა მა-

ღარომ შეილის გამყიდველობა, სამშობლოს ღალატი. დემუქრენ — თუ შენს შეილს უკან არ დააბრუნებ, სახლს დაგიწვამთ და შიგ ამოგწვამთო. „შენი შეილი რუსებს მიე, გაასაღდათებნო; ჩვენ შეილებსაც სალდათად წაიყვანნო“. ეს იყო მიზეზი მათი უკმაყოფილებისა.

ხალხი არ იჯერებდა, რომ ივანე მღვდელმა თავისი შეილი სწავლის მისაღებად გაგზავნა რუსეთს და იქნება კიდევ დაწვეათ სახლი, თუ ადგილობრივ სიღნაღის მაზრის უფროსს არ დაეცვა მხედრებით.

ამ ღროს ჯარიმას ახდევინებდნენ მშობლებს, რომლებიც კი არ აძლევდნენ თავიანთ შეილებს სასწავლე-

ბელში, საცა იზდებოდნენ სახელმწიფო ხარჯზედ. ამით არ ისარგებლეს ჩვენ წინაპართ, როდესაც რომ მხოლოდ სწავლას შეეძლო ჩადრეკილი წელის ამოწევა, ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, დაცეპული, გავერანებული სამშობლოს აღდგენა.

საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ გახდა 1801 წელს. ს. დოდაევი ოცის წლისა მაინც იქნებოდა, როდესაც წავიდა უნივერსიტეტში.

მოუბრუნდეთ ისევე მალაროელებს. დამოუკიდებლობის სიყვარული ერთის მხრით ამათ ამართლებს ზემოთქმულ აღელვებაში, მეოგრაფიული მდებარება ითხოვდა მიზიყიდან მტრი-

ხევეში ის თუ დაეხმარება რასმე, თორემ თვითონ გროშისასაც არაფერს დაისაკუთრებს.

□ შუ. მ. პანდელაკი გეტყობინებს ბორილამ, რომ სოფ. მეჯვრის-ხევეში ერთი დედა-კაცი და პატარა გოგო ჩამჩხვლან ქვევრში. აი როგორ ახირებულათ მომხდარა ეს შემთხვევა: ძალი საშუალოთ წასულა. ცოლს უნდოდა თხლის შექმადი გაეკეთებინა და ქმრისთვის წავლო. შეიყვანა პატარა ქალი მარანში, მოჰხალა ქვევრს თავი და ჩაუშვა შიგ. მაგრამ შეგუბებული ჰაერი და ღვინის სუნი ძლიერ მოერია და დაახრჩო ჯერ გოგო და მერე დედა-კაციც, რომელსაც თავი ქვევრში ჰქონდა ჩაყოფილი. ამასობაში მოსულიყო მეზობლის გოგო სამეზობლოთ; სახლში რომ არაფერ დახედროდა, მარანში შეეხედა და ენახა: დედა-კაცი ქვევრში გაჭვდილა და ფეხები ჭერში აუშვებია....

□ იმ ხელის-მომწეროთ, რომელნიც ჩვეულებრივად ყოველ წელიწადს აგროვებენ ფულს მთავარ-სამართველოს კანცელარიაში, აქაური წმ. ნინოს ზავედნიის სასარგებლოთ, წელს 248 მანეთი შეუგროვებიათ.

„დროების“ კორესპონდენცია

დ. შვირილა, 28 მაისს

მისი მამა ცხონდა, ვინც შვირილას „შვირილა“ დაარქვა! მართლა, აქ შვირილის მეტი არა გაკეთებულა არაოდეს. 1868 წლამდე შვირილაში ერთი მხოლოდ უეზდის უფროსის მეტი არაფერ ყოფილა ესრედ წოდებული ნასწავლი კაცებთაგანი, იყო კიდევ ერთი პრაფიანტის მალაზიის ზედამხედველი.

მას აქეთ 1874 წლამდე აქ მრავალმა ნასწავლა პირებმა მოიყარეს თავი. მხლა არის უეზდის სამმართველო თავისი ჩინოვნიკებით და ვერეთვე მომრიგებელი სასამართლო თავისი მოსამსახურეებით; პრისტავეები, მღვდელიც და დოქტორიც არის, აგრეთვე რკინის გზის მოსამსახურეები. შევლა ნაციის ხალხია ცოტაცოტა.

აქაური მცხოვრებლები ერთი ერთ-

მანეთთან კარგად დახლოებული არ იყვნენ და საზოგადო საქმეებზე ბევრს არას ზრუნავდნენ. მითოეულად რომ გეკითხათ, ყველასგან სასიამოვნო სიტყვებს გაიგონებდით ასე, რომ ხშირად ვფიქრობდი ხოლმე, რომ ესენი რაღაცა კარგ საქმეს მოახდენენ მეთქი. წასრულ წელში მართლა დიდი მოძრაობა იყო აქაურ განათლებულ პირებთა შორის. შევლა თანაგრძნობას აცხადებდა, რომ ჩვენ გაჭირებულ გლეხებს დავეხმაროთო. ღაღა თუ არა 1874 წელიწადი, შეკრბებს, როგორც ამბობდნენ, ას ორმოც მანეთადმდე და იმის მაგიერ, რომ ამ ფულით რაიმე კარგი სასარგებლო საქმე გაეკეთებინათ, მრთელი ერთი დამე თამაშობის მეტი არა უქნიათ რა! მაგრამ ამით არ გათავებულა საქმე, შეიქნა აქეთ-იქით მიბატოქ-მოპატოქება და დროების გატარება. მანსაკუთრებით ფანტის თამაშობას მიაკციეს ყურადღება. ბოლოს ქართულ და რუსულ ენაზედაც იყო წარმოდგენა. ბაჩინა ქორი. შეიქნა ერთი უშველებელი დაფიდარაბა და იქამდის მააწია საქმემ, რომ საჩივრებიც და დაბეზღებითი ებისტოლეებიც გაგზავნეს აქეთ-იქით.

ამისთანა ამბები არის იმ მცხოვრებლებში, რომელთაგან მრთელი უეზდი მაგალითს უნდა იღებდეს და გონიერად იზრდებოდეს. სოფელში რაღას უნდა მოეელოდეთ კარგს?

მთუმცა ქალღებზე სოფლის შკოლები გამოავლებულა და ჰყავდებიან, მაგრამ ნამდვილად კი ხეირიანი შკოლა არსად არ არის. მიოდის და მოდის სხვა და სხვა სახელმძღვანელო წიგნები, ნოტები, ატლასები, რუსულ ენაზე, რასაკვირველია; სოფელში გზავნიან, და რას უშვრებიან იქ, არ იცის კაცმა. მამასახლისები აგროვებენ ფულებს, რომ ჰკითხოთ: ამას შკოლის შესანახავათ ვკრფეთო. მაგრამ, როგორ ჩნდება, ძლიერ კარგა სარგებლობენ თურმე ისინიც. შკოლები უზრუნველათ არიან გაშვებული. მამასახლისმა რაც უნდა ჰქნას, კაცი ანგარიშს არა თხოვს მათ და რას ჩაღან, ღმერთმა იცის. რომ გამოიანგარიშოს კაცმა, რაც შკოლის ასაშენებლად და მათ შესანახავად არის მობოჭილი ამ უეზდ-

პარული თუ გამოქცეული წვალებიდან ყმა ს. მალაროში იცავდა თავს, ბატონს აღარ შეეძლო იმისი წაყვანა აქადან. მცველად, პატრონად იმისა ხდებოდა მალარო, და წინათ ტანჯული ყმა, აქა ხდებოდა თავისუფალი.

ამ გვარად აშენდა მთელი სოფელი სიღნაღსა და მალაროს შუა-ნუკრიანი (ნუკრი-შვილი) ესე იგი ნაშვილები სოფელ მალაროსი. მამ ესრედ: მალარო—ამაყი ჰპატრონობდა, იცავდა სხვებსა, და როგორღა დიმიკირებდა თავს პატრონობაზედ ხელი აედო? აი, მიზნია ზემო თქმულ მათი აჯანყებისა.

რაც შეეხება ლიტერატურულ

ში არ გამოვა 30,000 მანეთზე ნაკლები, მაგრამ საქმე ამის საღირალი არა გაკეთებულა.

მთუ ამ წესებმა და უწესო მოქმედებებმა დიდხანს გასტანეს, ჩვენი ხალხი ძლიერ დაეცემა.

მართლა იმედი გვაქვს—სოფლის მოხელებთა რომ ხშირად რევიზია უყონ ხოლმე. შეშინებულნი სოფლის მოხელები უმჯობესად წაიყვანენ თავიანთ საქმეს. პირველად სანამ სოფლის მოხელები გაოსტატებულნი არ იყვნენ, კიდევ კარგად მიდიოდა საქმე, მაგრამ ცხლა ღმერთმა შეინახოს. იციან რომ მათ რევიზიას არაფერ უზამს და როგორც სურსთ, ისე მოქმედებენ.

მართალი რომ სთქვას კაცმა, ერთ მამასახლისს რომ ჯაფა აქვს, იმდენი ჯაფა სხვა ჩინოვნიკებსაც არა აქეთ. მაგრამ აქედამ ის კი არ გამოდის, რომ იმათ უკანონოთ იმოქმედონ.

აქაური მღვდლები თავისას არ იშლიან: ორი მანეთი თუ არ მოგვცა თითო გლეხმა, შკოლას არ შევინახავთო და ბავშვებს ვერ გამოვზდითო. შვილების გამოსაზრდელათ გეტარდება და მოგვეცითო. მთუ არ მისცა, მამასახლისები ერთი ქვების მეტი რომ არ ჰქონდეს, იმასაც ორ მანეთში ართმევენ. ახსურები ცალკე უწყრებიან გლეხებს, კარგი გზა გაგვიკეთეთ სოფლებშიო. დროებითი მათი ბატონები ხომ რაღა თქმა უნდა! აი ასეთი ამბები გახლავთ სვენ კურთხეულ ქვეყანაში.

დროებითი ყვირილელი

ყვირილი რედაქტორთან

პიტყვით პირუმოთნეთო, რომ დიდათ საქებია თქვენი გაზეთის საზოგადო მიმართულება. ეს მიმართულება, როგორც ჩვენ გვესმის, იმაში მდგომარეობს, რომ თქვენ ყოველთვის მიზნდეთ საზოგადო ინტერესებსა, ჰქადაგებთ მათზედ, და განეშორებით ყოველ პიროვან მზვობრივ თავმოყვარეობის სარგებლობასა. ამ გვარ თქვენი გაზეთის მიმართულებას მით უფრო უჭეტესად ვრაცხავთ ჩვენ სასარგებლოთ, რომ მას აქვს ბევრზედ ძალიან დიდი და მცხოვარი გავლენა

შრომას ს. ღოდვეისას, ცარდა იმისა, რაც მოჰყავს უფ. ინგილო ჯანაშვილს გაზეთ „დროების“ მე 54-№-ში, ამას შეურდგენია ლექსიკონი რუსულ ქართული. მრთევენის სიტყვები ქართულ ასოებით არის დაწერილი ლურჯ ქალღებზე, სათაური სიტყვებისა იწყობა ხუცურ ასოთი. ეს ლექსიკონი მოზდილი წიგნია, სამოციქულოს ოდენი. უწერია აგრეთვე ისტორიული სტატები და მოთხრობები, მაგრამ, სამწუხაროდ ვიღაცას თხოვნით წაუღია და დაუკარგამთ.

ს. ღოდვეი მოკვდა შიატსკის გუბერნიაში; აქა ყოფილა ლუბერნატორის კანცელარიის მმართველი თუ

მისწრაფით მაგალითად მოგვყავით ერთ ამ გვარ გავლენის შედეგად, აქ ჩვენა გესურს შეგატყობინოთ ისა, თუ ამ მოკლე ხანში რა თანაგრძნობა აღმოუჩინა აქაურმა ახალგაზდობამ ერთ საკეთილო საქმესა:

თქვენ ერთ ამ წლის გაზეთის №-ში აქცევდით საზოგადოების ყურადღებას მიზიყიდვან გამოგზავნილ მშენიერ კორრესპონდენტიაზე. ეს თქვენი თხოვნა მრავალმა მიიღო აქ სახეში და მართლაც დიდი ყურადღება მიაკცია არა თუ იმ კორრესპონდენტისა, არამედ მის ავტორ ტატალასაც. ტატალა, რასაკვირველია, არ არის ნამდვილი სახელი, არამედ პსევდონიმი. მაგრამ სასწრაფოთ გაიგეთ მისი ნამდვილი სახელიცა ერთი უცების მოვლენითა.

ამ ტატალას სასარგებლოთ ათამაშეს აქ ლატარეიაში ორი წიეთი. მთუმცა ის ორი წიეთი მაგდენი არა ღირდა რა, მაგრამ რაკი კეთილი საქმისათვის იყო დანიშნული, ამიტომ ბევრმა ახალგაზდობამ მოაწერა ხელი და საკმაო ფული შეგროვდა იმ ლტრიისაგან. ეს ფული, როგორც ზვეითაც მოგახსენეთ, უნდა წაეიდეს მაგ თქვენი ღირსი და ნიჭიერი ტატალა კორრესპონდენტის სასარგებლოთ, რომელიც მაღალ სასწავლებელში თავის გამოსაზრდელათ მიემზავრება. ამ გვარი საქციელი მოყვასის და საზოგადოების წევრის თანაგრძნობა აქაური ახალგაზდობისგან, ეჭვი არ არის, ბევრს მოეწონება, ვინც კი თქვენი გაზეთის მიმართულებას თანაუგრძნობს. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ბევრი ნიჭიერი ახალგაზდა კაცი სასოებს თქვენის გაზეთით, და იმედი გვაქვს საკვლავადოთაც არ დაიშურებთ თქვენ, რომ მოუშართოთ ხელი, რითაც კი შეიძლება, ამისთანა ახალგაზდა ნიჭიერ, მაგრამ ღარიბ ყმაწვილებსა, როგორც არის ვგ თქვენი ახალი კორრესპონდენტი ტატალა.

შეთაისი, მაისის 27-ს

რუსეთი

★ ბადწყვეტილი საქმეა, რომ ტიბიბრში უნივერსიტეტი უნდა გაიხსნას. სჯა ახლა მხოლოდ იმაზედ

საგან საქართველოს მცველობას. მუდამა ომმა, შინ თუ გარეთ, მუდამ იარაღში ჯდომამ გამოზარდა ერში ლაშქრობის სული. რაინდობა, გმირული მამაცობა გახდა საერთო თვისებად. აქ მთელი ხალხი ერთსა და იმავე — სამშობლოს მცველობის— უღელს ეწეოდა.

ამით იხსნება სხვა საქართველოს მხარეებთან შედარებით ძრიელ მცირე რიცხვი თავდ-ახნაურობისა, მეტად ქვემო მიზიყში. მეფეებს არ შეეძლოთ ეს პატიოსანი ხალხი გაეხალა ვისიმე მონად; მეტად იმიტომ რომ მალაროელნი — განთქმულნი მამულის დაცვაში — არღვევდნენ, სტებდნენ მონობის უღელს.

სხვა და სხვა პროვინციიდან გამო-

ვიცე ლუბერნატორი, არ ვიცი სწორეთ. უნდა მალე დაბრუნებულიყო თავის სამშობლოში, მაგრამ სიკვდილმა არ დააცალა.

სამარადღან დ—ვი



არისა, ამბობენ, თუ რომელ ქალაქში უნდა გახსნას ეს უნივერსიტეტი.

✱ ერთი სატახტო გაზეთი გვაუწყობს, რომ პეტერბურგში რამდენიმე ქალი საარტელო ყველის ქარხნის გამართვას აპირებენო, ესე იგი ისეთი ამხანაგობა უნდა შეადგინონ, რომელიც ყველის ქარხანას გამართავს რომელსავე გუბერნიაში და რომელშიაც როგორც მუშებთან აგრეთვე გამგებლებთან მხოლოდ ქალები იქნებიან.

✱ რუსულს გაზეთებში იწერებიან, რომ ამჟამად პეტერბურგში სოფლის ნამუშაურის საზღვევლად მიმღები საზოგადოება სდგებაო. საზოგადოების წესდებით, ყველა შემამულებს შეუძლიან ამ საზოგადოებაში შეიტანონ თავის დახულ-დათხილი ყანები და საზოგადოთ მამული და თუ რამ ზიანი მიეცა რისგანმე, ეს საზოგადოება უზღავს; ამისთვის საზღვევლად შემტანი, რასაკვირველია, განსაზღვრულ ფულს შეიტანს ყოველწელიწადს საზოგადოებაში. პროექტი ამ საზოგადოებისა, როგორც ამბობენ, მზათ არისო და მთავრობასთან წარუდგენიან დასამტკიცებლად.

✱ გზის სამინისტრო იხილავს ამჟამად ერთს ყურადღების ღირსს პროექტს, რომელიც ერთიან ქვეყნის წარუდგენია და რომელიც შეეხება რკინის გზაზე მოსამსახურების და აგრეთვე, მოგზაურების შემთხვევით ზიანს. ამ პროექტის ძალით, როგორც ამბობენ, ყველა რკინის გზის გამგებობაში ცალკე კასსა იქნება გამართული, რომელიც რკინის გზის შემოსავლიდან შესდგება (მანეთზე ორი კაპეიკი უნდა გადასდებოდეს) და როდესაც ვისმე რამ ზიანი მიეცემა, ამ ფულებით უზღობენო. ოქმა არ უნდა, რომ ეს ძალიან გონიერული და კაცთ-მოყვარული პროექტია და იმის აღსრულებას განსაკუთრებით ჩვენ უნდა ენატრულობდეთ...

ქრონიკა

ამ დროინდელი საქართველოს მდგომარეობა, სარწმუნოება, მართლმადიდებლობა, სამხედრო იარაღები და მშენებლობა

ამ დროს თუმიკა საქართველოში მეთობა არ იყო, მაგრამ მამასახლისობა ძალიან გაფურჩქენილია. პრამც თუ ყველა ხეობაში თავისი მამასახლისი ჰყვანდა, არამედ ქალაქებშიც; ამათში ყველაზე უფროსი იყო მცხეთის მამასახლისი, რადგან მცხეთაში იყვნენ ხოლმე მამასახლისად მართლოსის ჩამამაველობის პირში შეიღები და მცხეთა მართლოსიანთა პირველი ქალაქი იყო. შამითი ჟამად ეს მამასახლისები შეიყრებოდნენ ხოლმე ერთად და მცხეთის მამასახლისის თავმჯდომარეობით თათბირობდნენ ქვეყნის სარგებლობისთვის.

მაგრამ თუ გარეშე პირი მოინ-

დომებდა ამ კრებაზე დასწრება, შეეძლო და ნება ჰქონდა ეთქვა თავისი ჰაზრი კადნიერად და გაბედვით.

მაგრამ ამ მამასახლისებს ხალხის დაუკითხავად არ შეეძლოთ ქვეყნის საჭიროებებისათვის ხალხზე ფულის გამოღება გაეწერათ; არ შეეძლოთ აგრეთვე ხალხისათვის სამართლის გაჩენა, თუ ხალხის მხრით დებუტები არ იქნებოდნენ. საჩივრების საბრტყისათვის ჯერ მამასახლისი ამოირჩედა ორს მოხუცებულს, ქკუიანს, გამოცდილს, უქრთამოს და პირუთნებელს კაცს; მერმე მოჩივარნი ამოირჩევენ კიდევ ოროს და ესენი შეადგენდნენ განჩინას. თითონ მამასახლისების თანამდებობა ამ შემთხვევაში მხოლოდ ის იყო, რომ ხალხისათვის წარედგინათ საქმე გასარჩევად. თითონ არავისი დაჰჯა არ შეეძლოთ; მხოლოდ მოჰყავდათ აღსრულებაში ერის გადაწყვეტილება.

მაგრამ თუ საქვეყნო ანუ ორის თემის შორის ასტყდებოდა საჩივარი, მაშინ იკაჟრი მამასახლისები გაუგზავნიდნენ მცხეთისა და სხვა მამასახლისებს კაცებს და მოიწვევდნენ სადაცო საქმის გასახილველად. მაგრამ თუ რომელიმე მამასახლისი უარს იტყვოდა, არ მოვიდოდა, მოინდომებდა კავშირიდგან გასვლას, მაშინ სხვანი შეიყრებოდნენ და იმას დასჯიდნენ და ისევე შემოიკრებდნენ. ამ გვარ წესისა და მმართველობისა გამო ქვეყანა აღყვავდებოდა. მახუშტი თავის ღეოღრაფიის მე 6 კაბადონზე ამბობს: ზენი აქვდათ პირმტკიცობა, მტრთა ზედა ერთობა, თავისუფლებისათვის მხედ ბრძოლა, ციხე—სიმაგრეთა და ქალაქთა შენება, მაგრება ქვეყნისა, ერთისა ცოლისა ქმრობა. პრა იყო მათ შორის, ამბობს თეიმურაზი, შური, არცა ხდობა რამე; არამედ ერთ-განზრახვა იყვნენ მარადის და აქვდათ ფრიადი მშვიდობა თვის შორის (50 გ).⁴

თუ ამ დროს გარეშე მტერი შემოესევოდა საქართველოს, მაშინ შეიყრებოდნენ თავიანთის ჯარებით ყველა მამასახლისები და მცხეთის მამასახლისის მოთაობით ებრძოდნენ. იმათ ჯარებს შეადგენდა მხოლოდ ცხენოსანი ჯარი და ხელში ეჭირათ შუბი და შვილი. ამას ამტკიცებს შულის-ციხეში ნახატი სიმეოლოები, რომელიც მახუშტის მოჰყავს თავის ღეოღრაფიაში. აი ეს სიტყვები: აკა (შულის-ციხეში) არს ბუზნი, გამოსული იხილვების სპალაშქარნი, შუბოსანი-შვილდოსანი, ცხენოსანი, ვალაშქრებულნი (244 გ).⁵

მსივე ნახატები, ჩემის ჰაზრით, ამტკიცებენ, რომ ქართველებს მამასახლისობის დროს შარნაფოზამდე იკრძალვებოდათ უწერიათ. ამ გვარი მწერლობის ასახანელად მე გადმოვთარგმნი შოლტერის სოფლიო ისტორიიდან შემდეგ სიტყვებს:

წინა პირველად რომელსავე საგანზე წერით ჰაზრის გამოსახატავად სხვა რამე საშუალება არ იცოდნენ: იმას მხოლოდ გამოხატავდნენ რამე სურათით, რომლის სახითაც იმას ბუნებაში იცნობდნენ ხოლმე; ამ სახით დახატული ლომი პირ-და-პირ

ნამდვილს ლომს აჩვენებდა, დახატული თვალი შეეფარდებოდა ნამდვილს ბუნების თვალს და სხვანი, მაგრამ რადგან ეს მწერლობა ითხოვდა ძალიან ბევრს დროს, ადგილს და შრომას, ამისათვის დროს და დროს განმავლობაში ამოკლებდნენ ნაკვეთებს და ნაცვლად მთელის საგნისა ხატავდნენ მხოლოდ იმის უმთავრეს ნაწილს. ასე მაგალითებრ კაცის თავი გამოხატავდა მთელს კაცს, სებაების კიბეები აღნიშნავდა ქალაქისათვის გარშემორტყმას. ორი ხელი, მკონებელი ფარისა და შვილდისარისა, გამოხატავდა ბრძოლას და სხვ. ამ სახით შესდგა წერა, რომელიც წარმოგვიდგენს მთელს სურათების მიჭრს რომელთაგანაც თვითოეული, რამოდენათაც ეს შესაძლო იყო, შეეფარდებოდა იმის მსგავსად გამოხატვებს საგანსა.

მაგრამ ბუნებაში არიან მრავალი იმისთანა საგნები, რომლებიც დახატვაც სრულებით არ შეიძლება ამისათვის, რომ იმათ არა აქვთ არავითარი ნაკვეთი, როგორ შეიძლება და გამოხატვა სხვა და სხვა თვისებისა მაგალითებრ: ვაჟკაცობისა, მღვიძარებისა, ძილისა, მეცადინეობისა და სხვ. მაგრამ საჭიროებამ იძულებული ჰყო ამისათვისაც მოგვგონებინათ საშუალება: დაიწყეს ბუნებაში მოძებნა იმ გვარი საგნებისა, რომლებშიც კი რომელიმე თვისება უფრო მომეტებულად გამოხატვითაა. ასე მაგ. ნახეს, რომ ლომი განსხვავდება თავის მძლავრობით. ამისათვის გამოხატული სურათი ლომისა ერთის მხრით უჩვენებდა თვით ლომს, მეორეს კაცთა მამაცობას, სწორედ აგრეთვე დახატული ხარი ნიშნავდა ძალას; ფუტკარი—შრომის მოყვარებას; ვახილებული თვალი მოასწავებდა სიფრთხილეს; თვალ დახუჭვით მწოლარე კაცი ნიშნავდა მძინარე კაცს და სიკედილს. ხშირად მხოლოდ ერთი ხაზი ნიშნავდა კაცის ჰაზრს და ფიქრს. როცა ისპანელები პირველად მოვიდნენ მექსიკაში და იმის ზღვის მონაპირე მცხოვრებლებმა შეატყობინეს თავის მეფეს რაგვარი სტუმრები ეწვივნენ იმას, მაშინ გაგზავნეს ელჩები და ამასთანავე დახატეს სურათი, რომელშიაც იყო გამოხატული გემები და ისპანელებიც თავიანთის შეიარაღებულებით. მეფემ მიიღო თუ არა ეს სურათი, მაშინვე ნიშნავდა, რომ რაში მდგომარეობდა საქმე.

თუ რომ ბუნებაში არ შეიძლება მოაგონა იმისთანა საგნისა, რომელსაც კი რომ გამოეხატა რომელიმე გონებითი მეცნაობა, მაშინ ალალ-ბედზედ ამოირჩევენ რამე ხილულს საგანს, რომლითაც გამოხატავდნენ წინად განზრახულ ჰაზრს. ამ გვარს საშუალებას თავის ჰაზრის გამოხატავად ქალაქებზე ხმარობდნენ არამც თუ მხოლოდ ეგვიპტელები, არამედ მრავალი სხვა ხალხებიცა.

ძალიან ადვილად მისახდომია, რომ ამგვარს წერის სურათებში უნდა მომხდარიყო სხვა და სხვა გაუგებ-

ლობა: თუნდ რომ ანაგვიან მსტყუაბ იმაზე, თუ რა ძნელად ხყო ესგვცნა ამ კავშირისა, რომელიც აქვთ შემეცნებასა და ჰაზრს, ხშირად თითქმის თვით ნაკვეთებსაც ზოგი ასრე ხსნიდა, ზოგი ისრე. მეგვიბტეში ეს მწერლობა ე.მოდთ მხოლოდ ძლიერ ნასწავლს ქურუმებსა, ამისათვისაც ამ მწერლობას დაერქვა იერო-ლითი, რომელიც იყო საღმთო მწერლობა. ამათი ნაშთი ახლაც მოიპოვება მრავალი ღღემდე ხელ უხლებელად შენახულ მეგვიბტის ძეგლებზე, სამარეებზე—და აგრეთვე უსტრებზე. ეს გასაკვირი ნიშნები და ნაკვეთები გაუგებარს საიდუმლოებად ითვლებოდა და იყო მკედარი მასალა მეცნიერებისა; მაგრამ, ბოლოს ამ ახლს დროებაში, მსწავლეული კაცების მოუღლეელი შრომის წყალობით განსაკუთრებით შამპოლიონის-მკირის მარჯვე მიხედვით, შესაძლო შეიქმნა რამოდენათმე იმათი ახსნა, და მით უფრო გამოცხადდა ჰაზრი იმ ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობებისა, რომელთაც ჩვენამდე მოახწივს ბერძენებისაგან. ამასთანავე იმ გარემოებაშიც ბევრი შემწეობა იქონია, რომ რომეტაში იპოვეს ქვა სამნარის ზედწარწერილობით, რომელთაც ერთი და იგივე შინაარსი აქვთ: ეს იყო ბერძნულს, იეროლიოთურს და ეგვიპტის სამშობლო ენაზე. (ეს ქვა ამ ჟამად დევს ბრიტანის მუზეუმში.)

ინგილო ჯანაშვილი


სამართალი

თ ქონა მრისთვის სამხე პალატაში

მაისის 29-ს აქაურს სამოსამართლო პალატაში იყო გარჩევა თ. ქონა მრისთვის აველაციით გადატანილის საქმისა იმის თაობაზე, რომ უფროსი ნოტარიუსი უზოგეროთ დოკუმენტებოთ არ აძლევდა მას გირაოს მოწმობას, რომელიც ბანკილამ ფულების ასაღებათ აუცილებელად საჭიროა. ოლქის სასამართლომ ეს საქმე უფ. უფროსი ნოტარიუსის სასარგებლოდ გადაწყვიტა; მაგრამ პალატამ დაარღვია ეს გადაწყვეტილება და თ. ქონა მრისთვის მიანიჭა სიმართლე.

შველანი, ვისაც კი ჩენი ბანკის სიკეთე ჰსურს, ვასაც ესმის—თუ რა დაბრკოლება ექნებოდა ამნარირ გირაობის მოწმობის აღების გამწელებით ერთის მხრით ბანკსა და მეორეს მხრით ფულის აღების მსურველებს, ძლიერ გახარებულნი არიან ამ გადაწყვეტილებით და იმედოვნებენ, რომ დღეის შემდეგ ბანკის ოპერაციების საქმე მარჯვეთ და მსწრაფლად წავაო.

უამრავილესად ვსთხოვთ იმ ჩვენს ხელის მომწარლავს, რომელსაც შარშანდელი ანუ წლევანდელი გაზეთის უშლი ჯარ არ შემოუბანიათ, რაც შეიძლება მალე შემოიტანოს.



განცხადებანი

თფილისის ქალაქის უბრავე სა- ყოველთაოთ აცხადებს, რომ მომ- ვალ იენისის 16 დღეს იმის თან- დასწრებით და თანხმად ქალაქის მ- გობის (დუმის) გადწყვეტილებისა იქნება მხოლოდ ერთხელ ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით მიეცემა სამი წლის ვადით ჰუბანის უბ- ანის განათება.

ვაჭრობაზე თვის პირობების წარ-
დგენა შეიძლება პირადად და აგრე-
თე დაბეჭდილის განცხადებით.
მსურველთ შეუძლიან თ
ნახონ და წაიკითხონ ნამდვილი
პირობები (კონდიციები) უბრა-
ვის ძანცვლარიაში, ყოველ დღე,
დილის ათი საათიდან, ვიდრე ნაშუ-
ადღევს 2 საათამდე, და ვაჭრობისა-
თვის კი დანიშნულ დღეს უნდა მო-
ვიდნენ.

ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრუ-
ლებელი **ლ. ელიშიშვილი**

თელავის სასულიერო სასწავ-
ლებლისაგან

§1. თუმცა თელავის სასულიერო
სასწავლებელი დაბალი ხარისხის სას-
წავლებელია და თავის მოწაფეს აძ-
ლევს მხოლოდ თავდაპირველ სწავ-
ლასა, გარნა ეს სწავლა არ არის უ-
რიგ-მარხოვ, არამედ არის წესზედ
წყობილი ანუ სისტემატიკური.

§2. ამისთვის პირველ კლასშივე
ამა სასწავლებლისა მიიღება მხოლოდ
მომზადებული და იმდენათ მომზა-
დებულნი ხნით და სწავლით, რომ
შეეძლოს სმენა და მითვისება წესზედ
წყობილი სწავლისა, რომელიც მას
გარდაეცემა ხსენებულ კლასში.

§3. პირველ კლასში შემომავალი
უნდა იყოს არა ნაკლები ცხრა წლის
ნახევრისა (9 1/2 წ.) და არა მეტი
თორმეტ წლინახევრისა (12 1/2 წ.),
უნდა იცოდეს აზრიანათ და შესმე-
ნით კითხვა და წერა ქართულად,
სუმბუქი, ანუ ცოტაოდენი ლაპარა-
კი, რომდენადმე საამური და კანონი-
ერად კითხვა და წერვა რუსულად.

მუდამ სახმარებელი ლოცვები, პირ-
ველ-დაწყებითი ქრისტიანული სწავ-
ლა და პირველი ორი მოქმედება
არითმეტიკისა (რიცხვთ შეერთება და
გამორისხვა), რიცხვთა სამმრავლებე-
ლი ტაბლიციტურთ.

§4. მეორე, მესამე და მეოთხე
კლასში შემოსასვლელისაგან მოით-
ხოვება ამა კლასების შესაფერო
წლოვანობა და განსწავლულება,
კლასების შესაფერო წლოვანება
შეიძლება თვითონ მკითხველმაც გა-
მოიანგარიშოს შემდეგ მე-3-ში ნა-
თქომისა და რაკი ეაცნობებთ, რომ
მეოთხე კლასის შემასრულებელს
უნდა ჰქონდეს არა ცამეტ წელიწად
ნახევარზედ (13 1/2 წ.) ნაკლები და
არა თექვსმეტ წელიწად ნახევარზედ
(16 1/2 წ.) მეტი ხანი, ჩამოთვლილი
კლასების შესაფერო ცოდნის გან-
სასზღვრებით ჩვენება კი ძნელია; ის
შეიძლება მსურველმა შეიტყოს თა-
ვის დროზედ თვით სასწავლებლის
მმართველობისაგან და მასწავლებ-
ლებისაგან.

§5. შემოსვლა, ანუ მიღება თვი-
თეულ ოთხ-კლასთაგანში შეიძლე-
ბა მხოლოდ სწავლის წლის დასაწყ-
ისში და დაწყებულნი ევზემენის
დაჭერით.

§6. ევზემენის დაჭერინებს სას-
წავლებლის მმართველობა იმ მასწავ-
ლებელთ თანამონაწილეობით,
რომელ საგნებშიც შემოსასვლელი
უნდა გამოიცადოს.

§7. სასწავლებელში შემომსვლე-
ლის ევზემენიაში მისაშვებელად უნდა
თავის დროზედ თხოვნა მოიცეს სა-
სწავლებლის ზედამხედველის (სმოტ-
რიტლის) სახელ-გვარზედ. უკანასკნე-
ლი ვადა თხოვნის მოცემისა არის
23 აგვისტო; თხოვნასთან უნდა წარ-
მოადგინონ მოწმობა ცოდნის ქო-
ნისა და ყოფა ქცევისა, თუ შემო-
სასვლელს სასწავლებელში სადმე
უსწავლია, ანუ მხოლოდ მეტრიჩეს-
კის მოწმობა, გინა მისი პირი, თუ
შემოსასვლელი პირი სასწავლებელ-
ში არსად ყოფილა და პირ-და-პირ
სახლიდგან მოდის.

§8. შემოსხენებული რჯულიერნი
პირობების შემასრულებელი, თუ
გინდ სასულიერო წოდების და უწ-

ყების პირის შეილი იყოს და თუ გინდ
საეროსი, მაინც მიიღება სასწავ-
ლებელში და ჩაითვლება ნამდვილ
მოწაფეთ, მხოლოდ არა-სასულიერო
წოდების და უწყების პირის შეილს
სასწავლებელი ფულს გამოართმევს.

§9. ეს ფული იმდენი იქმნება,
რამდენსაც ადგილობრივ საერო უფ-
ლის სასწავლებელში იღებენ; ნა-
ხევარი ამ ფულისა შემოიტანება
სწავლის წლის დამდეგ და ნახევარი
მეორე ნახევრის დამდეგ.

სასწავლებლის ზედამხედველი **ს. ლაფროვი**


გამოვიდა და ისყიდება
სურამის სინე
მოთხრობა **დ. ჰონკაძისა**,
შასი ერთი აბაზი.

**უ. ახვლედიანის და პარლა-
მოსის სარქიმო სარდაშვი**, ისყი-
დება შემდეგი ნაწარმოები:
ძარაკი — გირვანქა — 50 კაპ.

ნაღები — — — — — 40
სვეტანა — — — — — 30
ქველი — — — — — 15
ტვაროვი, ხაქო — — — — 10
რძე — — — — — 5
მაწონი — — — — — 5
სარდაფი იყოფება მრევნის მაე-
დნზე, სემინარიის პირ-და-პირ, მან-
დენოვის სახლებში.
(5 — 5)

გამოვიდა და ისყიდება თფილის-
ში **მ. ხელაძის სტამბაში**;
სამიჯნურ რამიწერ-ამოწერა
ძალ-ვაჰისა

შასი ყველგან ერთი შაური
გამოცემული
მ. ხელაძისაგან. ჩქარა გაიგზავნება
სხვა ქალაქებში: ბორში — **მ.** ძანდე-
ლაკთან. შუთაისში — **მ.** ასათიანთან
(სასულიერო სასწავლებელში) და უ.
სემონ ჩომახიძესთან. **მზურგეთში**
თ. ანტონ ნაკაშიძესთან და ქაჯაბ
ზოგეძეს მაღაზიაში.



პაცნობთ პატრეცემულს საზოგადოებას, რომ იბეჭდება და ამ მოსკო ხანში გამოსვა პირველი ძარი **განცხადებ- ნისა**, რომელიც პირველი გამოცემა ჩვენში.

ჩვენ ვგვგონია ურიგო არ იქნებოდა, რომ აქამდისაც დაბეჭდილიყო
ესეთი საამური საკითხავი წიგნი და ზღაპრული მოთხრობა უწინდელი
გმირებისა და ფალანგების — **ქარამანის** და **ზარდანქეშანის**
მოქმედებები. ბევრს კი ჰსურდა ამ საამური წიგნის დაბეჭდვა, მაგრამ,
წიგნის სიდიდისა გამო, ვერ ჰხედავდნენ, რადგანაც ამის დაბეჭდვას დიდი
შრომა, ხარჯი და თავისუფალი დროც უნდოდა.

ჩვენ გავბედეთ ამ წიგნის გამოცემა სტ. მელიქიშვილის სტამბის
ასო-ამწყობით და მაშინდით, **დ. ლაზარაშვილს** და **ნ. კობალაძეს** სტ. მე-
ლიქიშვილის შემწეობით.

ეს წიგნი შეადგენს თორმეტს კარს, ე. ი. თორმეტს ნაწილს. რად-
განაც ჩვენ ვერ მოვახერხეთ, რომ სულ ერთიანათ დაგვებეჭდა ერთ წიგ-
ნათ, ამის გამო ჩვენ ვბეჭდავთ ნაწილ-ნაწილათ, ე. ი. თითო კარს.

პირველი კარი გამოვა თუ არა ბეჭდვადგან, შეიძლება მაშინვე გას-
ყიდვა; და მას შემდეგ გავაგრძელებთ ბეჭდვას მეორე კარისას და აგრეთ-
ვე მესამე კარისას; ამ გვარად, ვიდრე თორმეტ კარამდის სულ ცალ-ცალ-
კე წიგნათ გამოვა და გაისყიდება.

ამ მოკლე ხანში, როცა „პირველი ძარის“ ბეჭდვა შესრულდება,
ჩვენ გამოვაცხადებთ ფასს, თუ როგორ ეღირება თითო წიგნი.

რ. ზ. ა.	ლილა.	სალა.	II კ.	III კ.
თფილისი	11 18	8		
მცხეთა	18 87	10		
ზორი	91 39	1 43	2 40	1 23
სურამი	1 52	4 30	3 92	2 18
ბეჟათუბანი	3 45		4 42	2 46
შვირთა	6 49		5 81	3 23
შუთაისი	7 55		6 75	3 75
სამტრედია	9 2		7 73	4 29
ახ. სენაკი	10		8 57	4 76
შოთი	11		9 75	5 42
შოთი	7 38			
ახ. სენაკი	9 11		1 18	66
სამტრედია	10 12		2 61	14
შუთაისი	11 17		3 41	69
შვირთა	12 38		3 98	2 21
ბეჟათუბანი	3 27	ლაშ	5 33	2 96
სურამი	4 57	12 30	5 84	3 24
ზორი	7 23	3 31	7 36	4 9
მცხეთა	9 52		9 85	4
თფილისი	10 49	8	2 9	75 5 42

ცეცხლის გვერები			
ა) შოთიდან:			
მდებისკენ	—	ორზაბ.	დღისსაათ.
სტამბოლს	—	კვირაობით	დილას.
ბ) სოხუმიდან:			
შოს	—	სამშაბათს	ღამით.
მდესას	—	კვირას	გათენებისას.
შოთიდან:			
I	II	III	
სოხუმამდე	4	3	1
ჭერამი	20 50	15 50	5
ტავანროვ.	34	27	8 60
მდესასამდე	38	30	9 60
ტელეგრაფი			
მ. ცი სიტყვა	თფილისიდან:		
შუთაისს,	შოს	1	
ზორს,	დუშეთს,	სიღნაგს	50
როსტოვს	მდესას	მოსკოვს	2
პეტერბურგს,	პარაგვას		2
მსპალეთში,	შვეიცარიაში		3
იტალიაში	და საფრანგეთში.	3 50	
ინგლისში.		3 75	

ფოფტა	
ა) თფილისიდან:	
სამზღვარ გარეთ,	შუთაისს, რუსეთს
—	ყოველ დღე კვირას გარდა. ზუღდ.
ოთხშ.,	მზურგეთს — პარასკ და
ორშაბ.	ბაქოს — ორშ. სამშაბ. და
შაბ.	ქახეთს — სამშ. და შაბ.
ბ) შუთაისიდან:	
თფილისისა	და შოთისაკენ — ყო-
ველ დღე,	კვირას გარდა. მზურ-
გეთს — ორშ.	და პარასკ. ზუღდიდს
—	ოთხშაბ.
გ) ბორიდან.	
შოველგან	ყოველ დღე, კვირას
გარდა.	
დ) შოთიდან:	
შოველგან	ყოველ დღე, კვი-
რას გარდა.	
წიგნის გაგზავნა რუსეთში:	
ლა წიგნის	5
დაბეჭდილის (სამი მისხალი)	10

პირა		მას. კაპ		მაზანდა	
პეტერბურგი,		23	მაისს.	თფილისი, 27 მაისს	
ერთი მანეთი ღირს:				პური შორავლის ფთ.	1 20
ლონდონში	3 3 1/2	პენსი.		ჭერი ფუთი.	60
პარიუში	3 4 1/4	სანტიმი.		ბამბა მრევნისა, ფუთი.	4 50
მსკონტი(სარგებლისფასი)			6	— ამერიკისა, ფუთი.	6 65
ბანკის ბილეთი	5%		99 75	ბაჟანტილი ბამბა ფთ.	8 —
მოგებიანი(პირველისფასი)			208 25	მატული თუშური ფთ.	6 50
მოგებიანი (მეორე სფასი)			203 25	— თარაქამისა ფთ.	3 60
ბარაოს ფურცლები:				აბრეშუმი ნუხური გრ.	2 60
თფილ. სააზნ. ბანკისა.				ჭონი, ფუთი.	4 —
ხერსონის ბანკის (5 1/2)			87	ჭონის სანთელი ფუთი.	5 60
მოსკოვის (5%)			86 50	სტარინის სანთელი, ფ.	10 20
აქციები:				ხორცი ქობისა, ლიტ.	60
მდების საეჭრო ბანკის.			215	— ცხვისა, ლიტრაჟი	70
შოთი-თფილ. რკინ. გზის			133	სპირტი, ვედრო.	7 —
შავიზღვის ცეცხ. გემების			560	შაქარი, კარგი ფუთი	8 4
ბაგეჯის და მერკურის.			168	— უხვნილი ფუთი	6 9
პირე. საზღვევ. საზოგ.			665	შავა გრგვალი ფუთი	18 5
პეტრბ. საზღვევ. საზ.			263	ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	6 5
მოსკოვის საზღვევ. საზ.			257 65	მქრო 1/2 იმპერიალი.	5 8